პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 № 168 (9579) ◎ ფასი 3 კაპ.
აგვისტო, კვირა, 1987 წ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეამბული

**სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის**

## ძირითადი მიმართულებანი

**განვიხილავთ!**

# სწორი ფიზიკური აღზრდა ჯანმრთელობის საწინდარია

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტში „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის შესახებ“ ნათქვამია: **„პროფილაქტიკურ საქმიანობას საფუძვლად უნდა დაედოს თითოეული ადამიანის და მთელი საზოგადოების ჯანმრთელი ცხოვრების წესი“.** მართლაც, როგორც მედიკოსებისათვის ისე სპორტსმენებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი, რა სერიოზული გართულებები ხვდება ადამიანს იმის გამო, რომ ბავშვობაში გამოვლენილ ფიზიკურ ნაკლს, ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციურ სისუსტეს თავის დროზე არ მიაქცია ყურადღება.

მაგალითად, ყველასათვის კარგადაა ე. წ. ბრტყელი ტერფი, რის შედეგად ტერფის ამორტიზაციის უნარი ქვეითდება, ირღვევა ტერფში შემავალი ძვლების ურთიერთკავშირი, სტატიკა, რის შედეგადაც ბავშვებს შემდგომში ადვილად უნვითარდებათ ოსტეოართროზი (არასწორად „მარილების დაგროვებას“ რომ უწოდებენ). იგივე შეიძლება თქვას ბავშვებში ხერხემლის გამრუდების შესახებ (სკოლიოზი) და და სხვა, რასაც შემდგომში, არც თუ იშვიათად, მძიმე გართულებები მოსდევს.

ჩვენი ცხოვრების პირობების, მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებამ მკვეთრად შეცვალა ყოველდღიური ცხოვრების წესი, ჩვევები. დღეს ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა სახლიდან ჩამოდის ლიფტით, სკოლაში ან სასწავლებლებში მიემგზავრება მსუბუქი მანქანით, იგივე მეორდება დღის ბოლოს. ამ გარემოებამ გამოიწვია ფიზიკური დატვირთვის შემცირება, რის შედეგადაც ჩვენი, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდობის საშუალო წონა გაცილებით აღემატება ნორმას. ამის გამო ბევრს დარღვეული აქვს სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქცია. შედეგი? — ჰიპერტონული დაავადება, გულის ინფარქტი და ა. შ. ამიტომ საჭიროა დავიცვათ კვების რეჟიმი. დიახ, აუცილებელია სისტემატური ფიზიკური დატვირთვა — ვარჯიში. დადგენილებაში სწორედ ამაზეა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი აზრით, შეიძლებოდა უფრო კატეგორიულად თქმა: **რომ დაწყებული 1988 წლიდან პრაქტიკულად არც ერთი მოქალაქე, დაწყებული პატარა ბავშვიდან დამთავრებული მოხუცამდე, არ უნდა დარჩეს ფიზიკულტურის თუ სამკურნალო ვარჯიშის გარეშე.**

**პროფესორი ვ. წითლანაძე, რეპუბლიკური სამეცნიერო რევმატოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი.**



# ახლა უკვე ორგზის...

## ლერი ხაბელოვის ახალი წარმატება

**„მას** ყველაფერი აქვს, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავე გახდეს — ფიზიკური ძალაც, ტექნიკაც, მონდომებაც და, რაც მთავარია, ალღო. იგი კარგად გრძნობს მეტოქეს და ზუსტ დიაგნოზსაც სვამს“. ასე დაახასიათა ერთ-ერთმა უცხოელმა სპეციალისტმა ლერი ხაბელოვი ჯერ კიდევ მანამ, სანამ პირველად გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი.

ასე ყველაფერი აგისრულდეთ. ლერი ხაბელოვმა შედარებით მოკლე დროში თავისი ფიზიკური ძალაც გამოავლინა, ტექნიკაც და სხვა ის თვისებებიც, რომლის გამოც, თავის დროზე, მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავის სახელი უწინასწარმეტყველეს.

მას შემდეგ არც ისე ბევრმა დრომ განვლო. ლერი ხაბელოვმა კი ფაქტიურად ყველა უმაღლესი საჭიდაო ტიტული მოირგო: იყო მსოფლიოს ჩემპიონიც, ევროპის ჩემპიონიც, წლების განმავლობაში არ ჰყავდა ბადალი საკავშირო პირველობებში. მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ვალდებულია წინ იხედებოდეს, რეზერვზე ფიქრობდეს. ამიტომაც იყო, რომ ზოგ საერთაშორისო ტურნირში ხაბელოვის ნაცვლად ნაკრებში რომელიმე, მასზე ახალგაზრდა მოჭიდავეს აყენებდნენ.

მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატი მაინც მსოფლიოს ჩემპიონატია, შეჯიბრება რომელიც თავისი მნიშვნელობით თვით ოლიმპიურ ტურნირს უთანაბრდება. აქ ზედმეტი რისკი და ექსპერიმენტები არ გამოდგება და მწვრთნელებიც ცდილობენ „ბრძოლის ველზე“ მაქსიმალურად საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანონ.

კლერმონ ფერანში ლერი ხაბელოვმა (იგი ნაკრების ღირსებას 100 კგ წონით კატეგორიაში იცავდა) ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ძალა, უნარი და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მეორედ მოიპოვა. ორგზის ჩემპიონობა არ არის იოლი საქმე, მაგრამ ლერის ამ ამოცანის გადაწყვეტას არც არავინ უადვილებდა. ოღონდ ეს კი იყო, მის წარმატებაში ეჭვი წუთითაც არ შეგპარვია და კარგია, რომ ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

პირველ ხუთეულში (ეს ის წონებია, რომლებშიც შეჯიბრება ერთი დღით ადრე დაიწყო) მსოფლიო ჩემპიონები უკვე გამოვლინდნენ. საბჭოთა მოჭიდავეებიდან ლერი ხაბელოვის გარდა ოქროს მედლები ტაშკენტელმა არსენ ფაძაევმა (68 კგ) და კი

**როგორ ვეგებებით ახალ სასწავლო წელს?**

# როცა გასაკეთებელი აღემატება გაკეთებულს

**ახალი სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების სამინისტრომ, სპორტსახკომმა და გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ რესპუბლიკის სპორტული მოედნებისა და დარბაზების მზადყოფნის შემოწმების მიზნით ერთობლივი რეიდი მოაწყო ბაგა-ბაღებში, საშუალო სკოლებში და პროფტექნიკური სასწავლებლებში.**

**დღეს** გესაუბრებით რუსთავში ჩატარებული რეიდის შესახებ. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ დათვალიერებული ობიექტებიდან პირველი სექტემბრისთვის მხოლოდ ნაწილი თუ იქნება მზად, რადგან გასაკეთებელი აშკარად აღემატება გაკეთებულს.

**ᲡᲣᲚ** სამი ბაგა-ბაღი დავათვალიერეთ. აქედან ახალ სასწავლო წელს მხოლოდ 33-ე ბაგა-ბაღს შეუძლია შეხვდეს პირნათლად. აქ ყველა ოთახშია (ასაკის მიხედვით) შვედური კედელი. გამგემ, ლეილა მიქელაძემ შემოგვჩივლა ზოგიერთ სპორტულ ინვენტარს ვერ ვშოულობთ და იძულებული ვართ თვითონ დავამზადოთო. ბაგა-ბაღს აქვს ღია საკუთარი. აქ მხოლოდ ერთმა ნაკლმა მიიქცია ჩვენი ყურადღება: კალათბურთის მოედანზე ასფალტი მშენებლებს ნაყარ მიწაზე დაუგიათ და საფარი იმდენად დეფორმირებულია, რომ ბავშვმა თამაშის დროს შეიძლება კისერი მოიტეხოს.

მე-11 (გამგე დარეჯან ბერაძე) და მე-13 (გამგე როზა ფილაური) ბაგა-ბაღის ხელმძღვანელებს დიდი შრომა მოუწევთ იმისათვის, რომ სექტემბრის პირველი დეკადის ბოლოს მაინც მოაწესრიგონ სპორტული მოედნები.

**ᲐᲑᲐ**-ბაღების დათვალიერების შემდეგ პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადავინაცვლეთ.

№ 56-ე პროფტექნიკური სასწავლებელი შარაშიძე გაიხსნა, მაგრამ მოსწავლეებს რომ ღია სპორტული მოედნები სჭირდებოდათ, ამაზე მშენებლებს რატომღაც არ უფიქრიათ. შარაშან, აქ, დირექტორის თეიმურაზ ქოჩიაშვილის თაოსნობით შემოზიდეს მიწა, ჩასვეს ფეხბურთის კარის ძელები, მაგრამ ზაფხულში აქაურობას არავინ გაკარებია და მოედანზე მუხლებამდე ბალახი გაზრდილა. დირექტორი შეგვპირდა, რომ მოედანს მალე მოიყვანენ წესრიგში. დასახაზია სარბენი ბილიკიც. სპორტული დარბაზი გაურემონტებიათ, მაგრამ ნათურები დაუცველია და ბურთის თამაშის დროს შეიძლება დაიმსხვრეს. გვითხრეს, რომ ერთ სახელოსნოში აპირებენ ჰიდაობის დარბაზის მოწყობას.

№ 162 პროფტექნიკურ სასწავლებელში, ისევე როგორც 56-ში, მშენებლებს სპორტული მოედანი არ მოუწყვიათ და აქაც ადმინისტრაციამ იყოჩაღა. დიახ, აქ სპორტული კომპლექსი წესრიგში იყო. მხოლოდ ერთი რამაა დამაფიქრებელი—1982 წელს სასწავლებლის ტერიტორიაზე დაწყეს საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი წყალბურთის სპეციალიზებული დახურული აუზის მშენებლობა (იგი პირველი იქნება ჩვენს ქვეყანაში). მშენებლობას აწარმოებდა ამიერკავკასიის სამშენებლო № 1 ტრესტის მეშვიდე სამმართველო. აუზის მშენებლობა 1985 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ შარშან მშენებლებს თითი თითზე არ დაუკარებიათ. ამით ისარგებლა მოსახლეობამ—„გადაწყვიტეს“, რომ დახურულს ღია აუზი სჯობია და მინები და კარები „მოაცილეს“.

რეიდის დღეს აუზი წყლით იყო სავსე და მობანავეებიც ბლომად შეკრებილიყვნენ. აუზი ქალაქის წყალბურთელთა გუნდის ძირითადი ბაზაც იქნება.

მე-17 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი სპორტული ბაზებით ქალაქში განთქმულია. ამ სასწავლებლის ფეხბურთის სტადიონზე რესპუბლიკური პირველობაც კი ჩატარებულა „ტყავის“ ბურთის“ პრიზზე. სტადიონს გარშემო სარბენი ბილიკი მიუყვება, აქვეა მთელ რუსთავში საუკეთესო კრივისა და ჰიდაობის დარბაზი. ეგ არის, რომ დარბაზებში სპორტული თამაშების ჩატარება არ ხერხდება. ერთი სიტყვით, სასწავლებელს სრულყოფილი კომპლექსი აქვს, მხოლოდ საცურაო აუზი აკლია. 1952 წელს აშენდა აუზი (ზომით 25X10), რომელიც 1973 წლამდე მწყობრში იყო, მაგრამ, როცა რემონტი დასჭირდა, მიაგდეს, მას შემდგომ 14 წელი უქმად დგას.

142-ე საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში არის კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები, მაგრამ მოედნებს სჭირდება დახაზვა, მოასფალტება, ავარიულია კალათბურთის ფარი.



მე-17 პროფტექნიკური სასწავლებლის აუზი 14 წელია უქმად დგას.



მე-8 სკოლის კალათბურთის „ანძა“.



ასე გამოიყურება მე-13 ბაგა-ბაღის კალათბურთის მოედანი.



№ 162-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მშენებარე აუზი.

**ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ** სკოლების დათვალიერება მე-15 სკოლით დავიწყეთ. სკოლის დირექტორთან ვახტანგ ჯაფაროიესთან საუბაობა დაგვარწმუნა, რომ სკოლას გამრჯე კაცი უძღვება. აქ სპორტული დარბაზის რემონტი 17 ივლისს დაუმთავრებიათ. სკოლას აქვს საკუთარი ძალებით მოწყობილი სატანვარჯიშო ქალაქი. ჩვენი იქ ყოფნის დროს სპორტულ მოედნებზე ზაფხულში ამოსულ ბალახს ძირკვავდნენ.

ერთმანეთის მეზობლად მდებარე 23-ე და მე-8 საშუალო სკოლები ერთი პროექტითაა აშენებული, ამგვარ მშენებლებს 23-ე სკოლაში არც ერთი ღია სპორტული მოედანი არ მოუწყვიათ, მე-8 სკოლაში კი თავი გამოუდიათ 23-ე სკოლაში დირექტორის არმაზ დუღაშვილის ინიციატივით (იგი დირექტორად შარშან ოქტომბერში დანიშნეს) შემოუზიდავთ მიწა და მოუსწორებიათ კიდეც, მაგრამ მოედნის მოსაწესრიგებლად მათ კიდევ ბევრი შრომა მოუწევთ.

მე-8 საშუალო სკოლის მოედანი თვალს ანარებს, ძაგრამ კალათბურთის მოედანზე რომ ერთი ფარი ჩამოვარდნილა? სკოლას აქვს ტიპიური პროექტით აგებული საცურაო აუზი — 12X6, მაგრამ რად გინდა, წყალი არ თბება. მშენებლებს (უკვე მერამდენედ) ამჯერად საქვაბის აშენება „დავიწყებიათ“, საშუხაროდ ამ ორი სკოლის დარბაზები დაკეტილი იყო და ვერ დავათვალიერეთ....



მე-15 სკოლის სპორტული კომპლექსი.



№ 33 ბაგა-ბაღის სპორტული კომპლექსი.

**რეიდმა დაგვარწმუნა, რომ რუსთაველებს ბაგა-ბაღებში, სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში სპორტული ბაზების მოსაწყობად დიდი ტერიტორია აქვთ, მაგრამ მშენებლების დაუდევრობითა და შეფების გულგრილი დამოკიდებულების გამო მათ სათანადოდ ვერ იყენებენ. თუ ეს ორგანიზაციები უფრო მეტ აქტიურობას გამოიჩენენ, რუსთაველებს მალე თითით საჩვენებელი სპორტული კომპლექსი ექნებათ.**

**ᲡᲐᲠᲔᲘᲓᲛ ᲑᲠᲘᲒᲐᲫᲔ.**

---

## ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

**„ᲡᲝᲕᲔᲢᲡᲙᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ — 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.** „იმედს არ ვკარგავ“. საუბარი სსრ კავშირის ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ უფროს მწვრთნელთან ვალერი ლობანოვსკისთან. **26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.** „ეჭვები შემდეგისთვის გადავდოთ“ — ინტერვიუ საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანთან ვიაჩესლავ ფეტისოვთან. წერილში „ჩრდილი და ნათელი“ მ. იგორევი მიმოიხილავს X პანამერიკულ თამაშებს. რუბრიკით „გაცნობებთ დაწვრილებით“ იბეჭდება ვ. გორბუნოვის წერილი „ვარსკვლავების“ პარადი“. **27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.** „უმუშევართა ჩემპიონატი“. რა ხდება იტალიურ ფეხბურთში? ვ. კრუპენინის მიმოხილვა. **28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.** „საწამ საჭირო ვარ...“ — ნარკვევი ცნობილ საბჭოთა ძალოსან იური ზახარევიჩზე. **29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.** „ყასაბი“, ანუ ექსჩემპიონის აღსარება“ — ჟურნალისტ იური იურისისა და მოკრივე ვიქტორ მიროშნიჩენკოს გლახდილი დიალოგი. „მორიდებული“ მტაცებელი“. გაზეთის სტუმარია ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი ემილიო ბუტრაგენიო.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲔᲒᲑᲘᲨᲘ

**27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ** გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მედლებისათვის მებრძოლი გუნდების მორიგი, მეოთხე ტურის შეხვედრები. როგორც იცით, ამ ტურში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელმა და ჩემპიონატის ლიდერმა, ქუთაისის „მშენებელმა“ დაამარცხა გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი, კიევის „ავიატორი“ და კიდევ უფრო განმტკიცა პოზიციები. ამ დღეს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი მონინოში ეთამაშა კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის“, ასკ ალმა-ათაში — მოსკოვის „სლავას“. ორივე შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 15:12 და 9:6.

დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მშენ.“ | 26 | 18 | 1 | 7 | 63 (—15) |
| სსა | 26 | 15 | 5 | 6 | 61 (—17) |
| „ავიატ.“ | 26 | 16 | 2 | 8 | 60 (—18) |
| „სლავა“ | 26 | 15 | 2 | 9 | 58 (—20) |
| ასკ | 25 | 14 | 4 | 7 | 57 (—18) |
| „ᲔᲢᲡ“ | 25 | 12 | 2 | 11 | 51 (—24) |



მეოთხე ტურის დამთავრების შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში ცხადდება „დიდი შესვენება“, რადგან მალე მოსკოვში დაიწყება რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. ჩემპიონატი 15 სექტემბერს განახლდება.

## ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ...

**ᲒᲣᲨᲘᲜ** როსტოვში მოეწყო ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლათა საკავშირო პირველობის ფინალური ასპარეზობა სამაიდარო ნიჩბოსნობაში.

ქართველმა ნიჩბოსანმა კახა ლომიშვილმა და მისმა ბელორუსიელმა მეწყვილემ ანდრეი ზუევმა პირველი ადგილი დაიკავეს 500 მეტრზე ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში (ეს წყვილი 1000-მეტრიან დისტანციაზეც ფინალში გავიდა). მანამდე კახა ლომიშვილმა თავი ისახელა ამავე დისტანციაზე ერთადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში — უმძაფრესი კონკურენციის პირობებში კახამ მესამემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.



## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ

# ᲘᲡᲔᲕ ᲚᲣᲪ ᲰᲔᲡᲚᲘᲰᲝ

**ᲕᲔᲜᲐ.** ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მედლების კიდევ ორი კომპლექტი გათამაშდა. ყურადღების ცენტრში, ცხადია, სპრინტერ ვაჟთა შეჯიბრება იყო. პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ლუც ჰესლიჰმა (გდრ) მოიპოვა. ფინალში მან თანამემამულე, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი მიჰაელ ჰუბნერი დაამარცხა. ბრინჯაოს მედალიც გდრ-ის წარმომადგენელ ედნები, მაგრამ მოედნებს სჭირდება დახაზვა, მოასფალტება, ავარიულია კალათბურთის ფარი.

**ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ** სკოლების დათვალიერება მე-15 სკოლით დავიწყეთ. სკოლის დირექტორთან ვახტანგ ჯაფაროიესთან საუბაობა დაგვარწმუნა, რომ სკოლას გამრჯე კაცი უძღვება. აქ სპორტული დარბაზის რემონტი 17 ივლისს დაუმთავრებიათ. სკოლას აქვს საკუთარი ძალებით მოწყობილი სატანვარჯიშო ქალაქი. ჩვენი იქ ყოფნის დროს სპორტულ მოედნებზე ზაფხულში ამოსულ ბალახს ძირკვავდნენ.

ერთმანეთის მეზობლად მდებარე 23-ე და მე-8 საშუალო სკოლები ერთი პროექტითაა აშენებული, ამგვარ მშენებლებს 23-ე სკოლაში არც ერთი ღია სპორტული მოედანი არ მოუწყვიათ, მე-8 სკოლაში კი თავი გამოუდიათ 23-ე სკოლაში დირექტორის არმაზ დუღაშვილის ინიციატივით (იგი დირექტორად შარშან ოქტომბერში დანიშნეს) შემოუზიდავთ მიწა და მოუსწორებიათ კიდეც, მაგრამ მოედნის მოსაწესრიგებლად მათ კიდევ ბევრი შრომა მოუწევთ.

მე-8 საშუალო სკოლის მოედანი თვალს ანარებს, ძაგრამ კალათბურთის მოედანზე რომ ერთი ფარი ჩამოვარდნილა? სკოლას აქვს ტიპიური პროექტით აგებული საცურაო აუზი — 12X6, მაგრამ რად გინდა, წყალი არ თბება. მშენებლებს (უკვე მერამდენედ) ამჯერად საქვაბის აშენება „დავიწყებიათ“, საშუხაროდ ამ ორი სკოლის დარბაზები დაკეტილი იყო და ვერ დავათვალიერეთ....

**რეიდმა დაგვარწმუნა, რომ რუსთაველებს ბაგა-ბაღებში, სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში სპორტული ბაზების მოსაწყობად დიდი ტერიტორია აქვთ, მაგრამ მშენებლების დაუდევრობითა და შეფების გულგრილი დამოკიდებულების გამო მათ სათანადოდ ვერ იყენებენ. თუ ეს ორგანიზაციები უფრო მეტ აქტიურობას გამოიჩენენ, რუსთაველებს მალე თითით საჩვენებელი სპორტული კომპლექსი ექნებათ.**

**ᲡᲐᲠᲔᲘᲓᲛ ᲑᲠᲘᲒᲐᲫᲔ.**

---

## ᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

### ᲓᲘᲐᲓ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ ᲔᲫᲚᲕᲔᲚᲐ

**ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ** რაიონის ფეხბურთელთა პირველობაში „ოქროს თავთავის“ თასზე 20 ძირეული ფიკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დედოფლის საბჭოთა მეურნეობისა და ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსის ფეხბურთელთა გუნდები. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვა და „ოქროს თავთავის“ თასი მეშვიდედ მოიპოვა დედოფლის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა.

**Თ. ᲧᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**

ქარელი.

### „ᲤᲝᲚᲐᲓᲐ“ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲯᲝᲑᲐ

**ᲬᲚᲔᲣᲚᲘ** რუსთაველ კალათბურთელთა გუნდი „ფოლადი“ (უფროსი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე) კარგად თამაშობს. გუნდმა წარმატებით იასპარეზა ახლახან კრასნოდარში გამართულ მოსწავლე კალათბურთელთა (1972-73 წწ დაბადებულნი) ოთხთა ტურნირშიც, სადაც დაამარცხა კრასნოდარის I და II, ყირგიზეთის გუნდები და პირველი ადგილიც დაისაკუთრა.

საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელისთვის დაწესებული პრიზი რუსთაველმა ირაკლი მიქიაშვილმა მიიღო, საუკეთესო მცველის სახელი კი არჩილ აბზიანიძემ მოიპოვა.

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲩᲐᲩᲐᲕᲐ.**

# წლეულს უკეთ, ვიდრე შარშან...

**დიდი სპორტის შედეგების დაგეგმვას გარკვეული შემეცნებითი ღირებულება აქვს, ვინაიდან იგი სპორტის განვითარების დონეს უფრო სრულყოფილად და ობიექტურად ასახავს. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში მითითებული იყო თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდება ამა თუ იმ რესპუბლიკის სპორტული მიღწევების შეფასება. შეგახსენებთ, რომ ამ დროს მხედველობაში მხოლოდ დიდ საერთაშორისო ტურნირებში, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში ნაჩვენები შედეგები მიიღება.**

**შარშან** საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლები აშკარად სუსტი იყო: გეგმით გათვალისწინებული 29,56 ქულის ნაცვლად მხოლოდ 9,9 ქულა დააგროვეს, რამაც საბოლოოდ ფეგმიური დავალების 33,5 პროცენტი შეადგინა. ეს შეფარდება სხვაგვარადაც შეიძლება გამოიხატოს: ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედლის ნაცვლად (რასაც, სხვათა შორის, სწორედ გეგმიური 29,56 ქულა უნდა შეედგინა) საქართველოს სპორტსმენებმა ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

შარშან დავით გობეჯიშვილს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში პირველი ადგილი და 7 ქულა ჰქონდა დაგეგმილი. სინამდვილეში კი მან ვერცხლის მედალი და 5 ქულა მიიღო. თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში ვახტანგ იაგორაშვილისაგან ოქროს მედალს ველოდით, არა და, V ადგილი დაიკავა (0,7 ქულა). მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში ვლადიმერ აფციაურმა მეორის ნაცვლად მეხუთე ადგილი დაისაკუთრა და შესაბამისად უფრო დაბალი შეფასებაც მიიღო (0,2). სამაგიეროდ ნინო სალუქვაძის წარმატება ტყვიის მსროლელთა ჩემპიონატში საერთოდ არ იყო ნავარაუდევი, ამდენად ბრინჯაოს მედალი და 4 ქულა, ასე ვთქვათ, ზეგეგმითი წარმატება გახლდათ.

შარშანდელი სპორტული სეზონის მაჩვენებლებით დავალებები ვერ შეასრულეს წყალბურთელმა მიხეილ გიორგაძემ (უნდა მოეცა 0,55 ქულა), ძიუდოისტებმა შოთა ხაბარელმა (3,5) და კობა კურტანიძემ (3,5), აფროსანმა გურამ ბიგანიშვილმა (2), ხელბურთელმა ალექსანდრე ანაილოგოვმა (0,43), მესტენდურემ თამაზ იმნაიშვილმა (7) და ფეხბურთელმა ალექსანდრე ჩიკვაძემ (0,18).

ამ წარუმატებლობათა ფონზე რესპუბლიკის სპორტსმენთა წლევანდელი შედეგები, მართლაც, თვალსაჩინოა. არა და წელი ჯერ არ დამთავრებულა და წინ არის ბევრი საპასუხისმგებლო ტურნირი, რომლებშიც, საფიქრებელია, საქართველოს სპორტსმენებიც გამოიჩენენ თავს.

აქამდე ჩატარებულ ევროპის რვა ჩემპიონატში საქართველოს სპორტსმენებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს (ტყვიის სროლაში ნინო სალუქვაძემ, წყალბურთში მიხეილ გიორგაძემ, წყალში ხტომაში გიორგი ჩოგოვაძემ), ერთი ვერცხლისა (სინქრონულ ცურვაში ქრისტინა ფალასანიდი) და ერთიც მეოთხე დაუგეგმავი ადგილი (სასტენდო სროლაში თამაზ იმნაიშვილი). დაუგეგმავი იყო, აგრეთვე, კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში გურამ ჯიდებაურის პირველი ადგილი და 7 ქულა.

ქვემოთმოყვანილ ცხრილებში უფრო ნათლად არის ასახული საქართველოს სპორტსმენთა წლევანდელი გეგმიური მაჩვენებლები და მათი შესრულება:

| | ადგილები | ქულები |
|---|---|---|
| **გეგმა** | | |
| ევროპის ჩემპიონატი. კრივი. ხ. ხდრიანი | II | 5 |
| ევროპის ჩემპიონატი. კალათბურთი. გ. დარსაძე | I | 2,32 |
| ევროპის ჩემპიონატი. ფარიკაობა. ვ. აფციაური | III | 0,8 |
| ევროპის ჩემპიონატი. სროლა. ნ. სალუქვაძე | III | 4 |
| მსოფლიო ჩემპიონატი. თან. ხუთჭ. ვ. იაგორაშვილი | I | 4,33 |
| ევროპის ჩემპიონატი. წყალბურთი. მ. გიორგაძე | I | 2 |
| ევროპის ჩემპიონატი. წყ. ხტომა. გ. ჩოგოვაძე | IV | 3 |
| **შესრულება** | | |
| ევროპის ჩემპიონატი. კრივი. ხ. ხდრიანი | — | 0 |
| ევროპის ჩემპიონატი. კალათბურთი. გ. დარსაძე | — | 0 |
| ევროპის ჩემპიონატი. ფარიკაობა. ვ. აფციაური | — | 0 |
| ევროპის ჩემპიონატი. სროლა. ნ. სალუქვაძე | I | 7 |
| ევროპის ჩემპიონატი. სროლა. თ. იმნაიშვილი | IV | 3 |
| მსოფლიოს ჩემპიონატი. თან. ხუთჭიდ. ვ. იაგორაშვილი | — | 0 |
| ევროპის ჩემპიონატი. წყალბურთი. მ. გიორგაძე | I | 2 |
| ევროპის ჩემპიონატი. წყ. ხტომა. გ. ჩოგოვაძე | I | 7 |
| ევროპის ჩემპიონატი. სინქ. ცურვა. ხ. ფალასანიდი | II | 0 |
| მსოფლიო ჩემპიონატი. ჭიდაობა. გ. გედეხაური | I | 7 |

**როგორც** ხედავთ, 1987 წლის 25 აგვისტოსათვის ჩვენს სპორტსმენებს გეგმით გათვალისწინებული ჰქონდათ სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლის მოპოვება, რასაც 21,45 ქულა უნდა შეედგინა. სინამდვილეში ეს ოთხი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი დავიმსახურეთ — 26 ქულა. რვა თვის გეგმა 121,2 პროცენტითაა შესრულებული. წლის განმავლობაში კი საქართველოს სპორტსახკომს 34,95 ქულის მიღება აქვს ნავარაუდევი, რაც სავსებით რეალური შედეგი უნდა იყოს. ცხრილში არ არის ლ. ხაბელოვის მსოფლიოს ჩემპიონის ქულები.

## ფეხბურთის ფედერაციის თასზე

**ბუშინ** განახლდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია“ და თბილისის „დინამო“.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

## „მაყურებელთა სიმპათიის პრიზი“—თბილისელ გოგონებს

**კიშინიოვში** დამთავრდა ფეხბურთელ ქალთა პირველი საკავშირო ტურნირი, რომელიც ყოველკვირეულმა გამოცემა „სობესედნიკმა“ მოაწყო.

ეს შეჯიბრება მეტად საინტერესო გამოდგა, განსაკუთრებით დაძაბული იყო ფინალური მატჩი მოსკოვის ოლქის ქ. რამენსკოეს საართავი კომბინატისა და თბილისის № 3 სამედიცინო სასწავლებლის გუნდებს შორის. დაძაბული შეხვედრა მოიგეს რამენსკოელებმა — 2:1, თუმცა წარმატების შანსი თბილისელ გოგონებსაც ჰქონდათ. მათ მეორე ადგილი დაიკავეს, სამაგიეროდ, მოიპოვეს „მაყურებელთა სიმპათიის პრიზი“ და სხვა სამახსოვრო ჯილდოები.

## მკითხველი—გაზეთი

# ვინ, სად, რეკორდი?

## მოჭიდავე, ველოსიპედისტი, მომღერალი

**● ამბობენ, რომ რევოლუციამდელ თბილისში ველოსპორტი პოპულარული სპორტი ყოფილა. ამბობენ იმასაც, რომ ერთ-ერთ მაშინდელ ველოსიპედისტს უცხოეთიდან ჩამოსული მსოფლიო ჩემპიონი დაუმარცხებია. რამდენად შეეფარდება ეს ყველაფერი სინამდვილეს და თუ მართალია, ვინ იყო იგი?**

**დავით ახალაძე.**

მცხეთა.

— უცხოეთიდან ჩამოსული მსოფლიო ჩემპიონისა რა მოგახსენოთ. მაგრამ 1908 წელს თბილისს მართლაც სწვეია ცნობილი რუსი ველოსიპედისტი, მსოფლიო ჩემპიონ სერგეი უტოჩკინი, რომელმაც საასპარეზოდ თბილისელი ლადო კავსაძე გამოიწვია.

ლადო კავსაძე, შემდგომში ცნობილი მსახიობი და მომღერალი, მაშინ ველოსპორტითა და ჭიდაობით ყოფილა გატაცებული და თბილისელი ახალგაზრდობის კერპად ითვლებოდა. ლადომ, ცხადია, მიიღო გამოწვევა და დაინიშნა შეჯიბრების დღე—18 მაისი. თბილისის დიდი პრიზის გათამაშებაში გამარჯვებულ-თვის გამოიყო ფულადი პრემია — 300 მანეთი.

ლადო კავსაძე

იმ დღეს ტრეკს, რომელიც დიდი მთავრის ქუჩაზე (ამჟამად კამოს ქუჩა) მდებარეობდა, უამრავი ხალხი მიაწყდა. შეჯიბრებისადმი ინტერესს ერთი-ორად ზრდიდა თვით უტოჩკინის პიროვნება. გამოჩენილი რუსი მწერლის ალექსანდრე კუპრინის უახლოესი მეგობარი, მსოფლიოს სტადიონებზე დაფასებული და აღიარებული სპორტსმენი, კარგი მოცეკვავე, მოკრივე და ავტომობილისტი სერგეი უტოჩკინი, ამავე დროს, რუსული ავიაციის პიონერი, ერთ-ერთი პირველი მფრინავი და გამომცდელი გახლდათ. მსოფლიო ჩემპიონის სახელი მან უცხოეთის ერთ-ერთ ტრეკზე შეჯიბრების დროს მოიგო და ამ ტიტულს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. კავსაძემ კი დაამარცხა აღიარებული ჩემპიონი და ჟიურის მთავარი პრიზიც დაიმსახურა.

უტოჩკინი ამ მარცხით არ განაწყენებულა. პირიქით, ახალგაზრდა მეტოქე თავის საგასტროლო ტურნეში ჩართო. უტოჩკინმა და კავსაძემ ერთად იმოგზაურეს ოდესაში, ტულაში, ხარკოვში, მოსკოვსა და პეტერბურგში. ლადოს რამდენიმე შეხვედრა საჭიდაო სარბიელზეც გაუმართავს და მაყურებელი აღტაცებაში მოუყვანია...

**სურათზე: ლადო კავსაძე.**



## სამ წამში მოგებული ბრძოლა

**● თხუთმეტი წლის წინ საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა. გვაინტერესებს, როგორი ანგარიშით დამთავრდა მაშინ ფინალური მატჩი და ვინ იყვნენ ჩვენი კალათბურთელების მეტოქე გადამწყვეტ შეხვედრაში?**

**ზურაბ მეგრელიძე,**
**ზაურ ქოიავა.**

ფოთი.

— მიუნხენის ოლიმპიადამდე ოთხჯერ (ჰელსინკში, მელბურნში, რომსა და ტოკიოში) კალათბურთელთა ტურნირის ფინალი საბჭოთა და ამერიკელმა სპორტსმენებმა გათამაშეს და ოთხივეჯერ გამარჯვება ჩვენს მეტოქეებს ხვდათ წილად. ამ გუნდების შეხვედრა საბჭოთა კალათბურთელებისათვის იღბლიანი გამოდგა, თუმცა...

ფინალური ბრძოლის ბედი მსაჯის ბოლო სასტვენამდე 3 წამით ადრე გადაწყდა. უფრო ზუსტად გამარჯვება ჩვენ გუნდა ამ სამმა წამმა მოუტანა. მანამდე კი... ამერიკელმა დუგლას კოლინსმა ზუსტად გამოიყენა ორი საჯარიმო სროლა და ჩვენი მეტოქეები დაწინაურდნენ — 50:49.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ კონდრაშინმა წუთ-შესვენება აიღო. შეიძლებოდა კი დარჩენილ სამ წამში მატჩის მოგება? თეორიულად შეიძლებოდა, მაგრამ ასეთი სასწაული კალათბურთში იშვიათად ხდება და ბევრისთვის ამ ტაიმ-აუტის მნიშვნელობაც ცოტა გაუგებარიც იყო.

კონდრაშინმა კალათბურთელებს კონკრეტული დავალება მისცა: ბურთი პირითი ხაზიდან უნდა შემოეტანა ივან ედეშკოს და შეძლებისდაგვარად, პირდაპირ მეტოქის ფარქვეშ ალექსანდრე ბელოვისთვის გადაეწოდებინა. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, ხსნა — ზუსტი პასი მთელს მოედანზე.

და მოხდა ყველაფერი ისე, როგორც მწვრთნელი ვარაუდობდა. კალათბურთის წესების თანახმად დრო ჩაირთო მაშინ, როცა ბელოვმა პასი მიიღო. იგი ყველაზე მაღლა ახტა და ბურთი კალათში მოათავსა. საფინალო სირენის ხმა მხოლოდ ამის შემდეგ გაისმა — 51:50. საბჭოთა ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ამერიკელებმა მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტეს და იგი განსახილველად სააპელაციო ჟიურის გადასცეს, მაგრამ რა აზრი ჰქონდა პროტესტს, როცა დროის აღმრიცხველს თავზე ადგა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელი გენერალური მდივანი უილიამ ჯონსი და ყველაფერს თვითონ აკონტროლებდა. ჟიურიმ პროტესტი, ცხადია, უარყო. ამით განაწყენებული ამერიკელები დაჯილდოების ცერემონიალზე არ გამოცხადდნენ, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

**სურათზე: ალექსანდრე ბელოვი ამერიკელთა გარემოცვაში ზუსტად იღებს იმ ბოლო პასს.**

## ლეგენდარული მეტიუზი

**● მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის ინგლისელ სტენლი მეტიუზსაც ასახელებენ. იქნებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ რაიმე მის შესახებ?**

**გივი გოლოთაშვილი.**

— სტენლი მეტიუზი 1915 წლის 1 თებერვალს დაიბადა. 16 წლისა იყო, როცა პირველად ითამაშა ინგლისის ნაკრებში და შემდეგ მთელი 30 წლის მანძილზე მისი უცვლელი ლიდერი იყო. მეტიუზს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში რამდენიმე რეკორდი ეკუთვნის: ინგლისის ჩემპიონატის პირველ ლიგაში 50 წლის ასაკამდე თამაშობდა. 36 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი გუნდის — „სტოკ სიტის“ და „ბლეკპულის“ ღირსებას იცავდა, „ფრანს ფუტბოლის“ პრიზი „ოქროს ბურთი“ პირველად მას გადაეცა, როგორც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს. ამისათვის მას ოფიციალურად „სერის“ წოდება მიანიჭეს.

**სურათზე: სტენლი მეტიუზი ოფიციალურ მიღებაზე მიიჩქარის.**

## ვინ იყო პირველი?

**◎ საქართველოს მძლეოსანთაგან ვინ იყო საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი?**

**ანა კოკილაძე.**

— 1924 წელს ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ესენი იყვნენ ძმები ვლადიმერ და ბორის დიაჩკოვები, აგრეთვე, ივანე სერგეევი. ვლადიმერ დიაჩკოვმა პირველი ადგილი მძლეოსნობის სამ სახეობაში დაიკავა: სიმაღლეზე ხტომაში (165 სმ), 110 მეტრზე თარჯრბენში (17,4 წამი) და ჭოკით ხტომაში (337 სმ). ბორის დიაჩკოვი ჩემპიონი გახდა სამხტომში (12 მ. 14 სმ), ხოლო ივანე სერგეევი—ბადროს ტყორცნასა (40 მ 65 სმ) და ათჭიდში (5122 ქულა).

# სტრასბურგი—ლაშაზი, სასიამოვნო მოგონება

(დასასრული)

— ხრისტინა თავის ვერცხლის მედალს არ გაუხარებია ისე, როგორც ჩოგოვაძის ჩემპიონობამ გაახარა. როცა საბჭოთა ნაკრების წარმომადგენლებმა ჯგუფურ ვარჯიშში ასპარეზობა დაამთავრეს და შედეგი გამოაცხადეს, ხრისტინას თვალებზე ცრემლი მოადგა. იგი დაწმუნებული იყო, რომ ჩვენი გუნდი გაიმარჯვებდა, არადა პირველობა ფრანგებს მიაკუთვნეს.

**● დიახ, საკადესი იტყობინებოდა, რომ ჩვენმა გოგონებმა ჯგუფურ გამოსვლაში ბრწყინვალედ ასპარეზეს — სტრიქონებს შორის იკითხებოდა, რომ ჩვენი გუნდი მსაჯებმა დაჩაგრეს.**

**ნ. მაშუკი:**

— სინქრონულ ცურვაში ავტორიტეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს გოგონებს არაფერი აკლდათ—არც ოსტატობა, არც მონდომება, პროგრამაც გაცილებით რთული და საინტერესო ჰქონდათ, მაგრამ ავტორიტეტი... ჩვენი გუნდი ჯგუფურ გამოსვლაში აქამდე მეოთხე ადგილს არ გასცილებია და ახლა რომ „ოქროს“ მედლები მოეპოვებინა, სასწაული უნდა მოემოქმედებინა, რადგან ჩვენს გოგონებს ჯერ კიდევ ახალბედებად თვლიან. მაგრამ სტრასბურგში გამოსვლით მათ დაამტკიცეს, რომ საბჭოთა სინქრონული ცურვის ოსტატები ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

**● ხრისტინა, მართალია ოქროს და ვერცხლის მედლები შარშან დასავლეთ ბერლინში ევროპის იუნიორთა პირველობაზეც მოიპოვე, მაგრამ სტრასბურგის სტარტები მაინც სხვა იყო. კონტინენტის ჩემპიონატზე პირველივე ცდაზე ვერცხლი მოიპოვე. ნუთუ ამან არ გაგახარა?**

— შარშან მედალზე კი არა, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. ჯილდომ, რასაკვირველია, გამახარა, მაგრამ გული იმან დამწყვიტა, რომ მივხვდი ოქროს მედალიც შეიძლებოდა მიგვეღო.

**● რით განსხვავდებოდა თქვენი და ფრანგების პროგრამა?**

— ჩვენ პროგრამაში მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა ცეკვების ელემენტები შევიტანეთ. პროგრამაც უფრო რთული გვქონდა და უფრო უკეთესად შევასრულეთ. ფრანგების პროგრამა ძ. ლიან მომეწონა, მაგრამ ჩვენთან შედარებით ერთფეროვანი მეჩვენა. მათი ვარჯიში მუსიკის რიტმზე იყო დამყარებული. თუმცა იქნებ სამართლიანად არ ვსჯი, მე ხომ, ფრანგების ოსტატობა... შეჯიბრების შემდეგ ტელეეკრანზე ვნახე. საქმე ისაა, რომ ჩვენ ფრანგების შემდეგ გამოვდიოდით და როცა ისინი ასპარეზობდნენ, ჩვენ გამოსასვლელად ვემზადებოდით.

**● გიორგი, რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში დაიწყება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩვენი ქვეყნის წყალში მხტომელთა სამატჩო შეხვედრა. ამ შეჯიბრებაში თქვენც გამოხვალთ, არა?**

— სამწუხაროდ, გამოსვლას ვერ შევძლებ. სტრასბურგში დაშავებული მხარი მაწუხებს.

**● სტრასბურგში სერიოზული განაცხადი გააკეთეთ, ასე რომ, ხეულის ოლიმპიურ თამაშებზე შეგიძლიათ იფიქროთ.**

**ი. გუტიაკულოვი:**

— ვფიქრობ, ჩოგოვაძე ოლიმპიურ გუნდში ადგილს დაიმკვიდრებს.

**ნ. მაშუკი:**

— სამწუხაროდ, ოლიმპიურ თამაშებზე სინქრონულ ცურვაში ჯგუფური ასპარეზობა არ ტარდება. ამიტომ საჭიროა ხრისტინამ წყვილთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მოიპოვოს. ნაკრების ხელმძღვანელებმა პირდაპირ არ გვითხრეს, მაგრამ მიგვახვედრეს, რომ ამისათვის ხრისტინამ და მისმა ლენინგრადელმა პარტნიორმა ლენა დოლეენკომ ჟუკოვა — ტიტოვას წყვილს ყველა შეჯიბრებაზე უნდა აჯობოს. ჩვენ ეს წლეულს შევძელით, მაგრამ...

**● ახლა რომელი შეჯიბრებისთვის ემზადებით?**

**ხ. ფალასანიდი:**

— მსოფლიო თასის გათამაშებისთვის, რომელიც ერთი თვის შემდეგ კაიროში გაიმართება.

**გ. ჩოგოვაძე:**

— ჯერ მხარი მომირჩეს...

**საუბარი ჩაიწერა**
**ავთანდილ გურასაშვილმა.**

## ტელეტაიკი-მკითხველი



**მანამა** (ბახრეინი). ახალგაზრდა ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: კუბის, სსრ კავშირის, არგენტინისა და სამხრეთ კორეის გუნდებმა. ნახევარფინალური შეხვედრების ბოლო მატჩი, რომელსაც სატურნირო მდგომარეობისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩვენმა ფრენბურთელებმა წააგეს ბრაზილიელებთან — 2:3.

**მიუნხენი.** აქ გაიმართა გერმანიის ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა, რომელიც რამდენიმე მაღალი კლასის შედეგით აღინიშნა. მათ შორის აღსანიშნავია ევროპის რეკორდი, რომელიც იორგ ვოიტემ (გდრ) 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა — 22,47 მატჩი გდრ-ის მოცურავეებმა მოიგეს — 231:151. ეს წარმატება უმთავრესად ქალთა გუნდის ანგარიშზე მოდის — 134:57.

**სანდომირი (პოლონეთი).** 9 ეტაპიანი საერთაშორისო ველორბოლა როვნოელმა ოლეგ ჩუკდამ მოიგო. მეორე ადგილი პოლონელმა იუზეფ გრუხალამ დიკავა, მესამე — მისმა თანამემამულემ იოახიმ ხალაპჩოკმა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა საბჭოთა ველოსიპედისტებს ხვდათ წილად.

## გუნდი ზაიჩიკი—პირველ ლიგაში

**პავლოდარში** დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 55-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა დიდოსტატმა გენადი ზაიჩიკმა, რომელმაც 7 ქულით II-III ადგილები გაიყო და I ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

ახალგაზრდა ქართველმა ოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ 6 ქულით VIII-XII ადგილები გაიყო, კოეფიციენტით მას X ადგილი ერგო. აღსანიშნავია, რომ ლაშამ დაამარცხა დიდოსტატები ერევნელი არშაკ პეტროსიანი, ლვოველი ადრიან მიხალჩიშინი და თითქოს უკეთესი კოეფიციენტიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — შუა ტურნირში ავადმყოფობის გამო თამაშის გაგრძელება ვერ შეძლეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ პეტროსიანი და მიხალჩიშინი, რის გამოც ქართველ ოსტატს კოეფიციენტი „დაუქვეითდა“. მაგრამ მაინც, ლაშა I ლიგაში მონაწილეობის უპირველეს კანდიდატად ითვლება.

აი, ვინ მოიპოვა პავლოდარის ტურნირიდან I ლიგაში მონაწილეობის უფლება: I. ლოგინოვი — 8 ქულა, II-III. დრეევი, ზაიჩიკი — 7-7, IV-VII. ერმოლინსკი; ნოვიკოვი, დოხოიანი, პანჩენკო — 6,5-6,5, VIII. პიგუსოვი - 6.

## „დიდი მუზარადის“ მაძიებლები

**მსოფლიო** ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — „დიდი მუზარადი“ ოთხ პოპულარულ ტურნირს — უიმბლდონის, საფრანგეთის, ავსტრალიისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატებს მოიცავს. მათში აშშ-ს ტურნირს, რომელიც 1881 წლიდან ტარდება, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

წლევანდელი ჩემპიონატი ფლაშინგ მიდოუსის (ნიუ-იორკის მახლობლად) ცემენტის კორტებზე მოეწყობა. მონაწილენი შეჯიბრების ადგილზე უკვე ჩავიდნენ და წილისყრაც შედგა. პირველ ნომრებად დასახელებული არიან ვაჟებში — ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), ქალებში — შტეფი გრაფი (გფრ).

საბჭოთა ჩოგბურთელთა შორის ყველაზე მძიმე კალენდარი ნატალია ზვერევას აქვს — იუნიორთა და მოზრდილთა ტურნირებში უნდა ითამაშოს. სხვათა შორის, იუნიორთა შეჯიბრებაში ზვერევამ „დიდი მუზარადის“ ორი ასპარეზობა უკვე მოიგო (საფრანგეთში და უიმბლდონზე). მოზრდილთა ასპარეზობაში ჭისი პირველი მეტოქე ფრანგი პასკალ პარადი იქნება.

სხვა საბჭოთა ჩოგბურთელების პირველი მეტოქეები არიან: ლარისა სავჩენკოსი — კეტი ხორვატი (აშშ), სვეტლანა პარხომენკოსი — იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია), ანდრეი ჩესნოკოვის — კევინ კარენი (აშშ), ალექსი ვოლკოვსა და ანდრეი ოლხოვსკის საკვალიფიკაციო ტურნირში მოუწევთ გამოსვლა.

## საჭადრაკო კომპოზიცია

### მიბაძვა

ჭადრაკის თამაშში არსებობს ფიგურათა მოძრაობის რამდენიმე სპეციფიკური წესი, რითაც სარგებლობა მხოლოდ გარკვეულ, ხელსაყრელ პირობებში შეიძლება. ესენი: პაიკის გარდაქმნა („გაცოცხლება“) სხვა ფიგურად, პაიკის აღება გავლით და როქი. განსაკუთრებით ხშირად იყენებენ უკანასკნელს. მის გარეშე იშვიათად თამაშდება საჭადრაკო პარტია. ეტლისა და მეფის ერთდროულ ნახტომს საგანგებო ყურადღება ექცევა კომპოზიციაშიც, მაგრამ პრაქტიკული თამაშისგან განსხვავებით, საჭადრაკო ამოცანებში როქის მოტივი გამოკვეთილ ხასიათს ატარებს — იგი ნაწარმოებში შეიძლება რამდენჯერმე იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, გამოჩენილი დანიელი პრობლემისტის სარეკორდო ამოცანაში როქის იდეა ოთხჯერ არის გატარებული.

**კ. ჰანემანი, 1921**



**შამათი 4 სვლაში**

1. ლd5 სვლის შემდეგ როქი, როგორც შავების დაცვითი, ისე თეთრების შემტევი თამაშის მთავარ ტაქტიკურ იარაღად გვევლინება 1. ...0—0—0 2. 0—0—0 და 3. კ:d7-, ან 1. ...0—0 2. 0—0 და 3. gf+.

ეს ამოცანა კიდევ სხვა საინტერესო ჩანაფიქრით არის საყურადღებო. ნათლად ჩანს, რომ შავების თემატურ დაცვით სვლებს თეთრები ანალოგიური სვლებით პასუხობენ. პირველ ვარიანტში მეორდება გრძელი როქი, ხოლო მეორეში — მოკლე როქი. ამიტომ აღნიშნულ ნაწარმოებში ვხვდებით **მიბაძვის** (იმიტაციის) **თემასაც,** რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთი სვლის ან მანევრის ზუსტი განმეორება თეთრებმა და შავებმა ერთ-ერთ ამ საამოტანად ტემპინალურ გიაში მაიმუნის თემასაც უწოდებენ.

**ვ. კობაძეი, 1971**



**შამათი 3 სვლაში**

აქ მიბაძვის თემა სტრატეგიული თამაშის განმეორებით არის წარმოდგენილი, რომელიც მთლიანობაში (ე. ი. ყველა თემატური ვარიანტის გათვალისწინებით) გეომეტრიული სურათის (აქ მეფის „ვარსკვლავის“) განმეორებასაც იძლევა. 1. ეg1! ცუგცვანგი! 1. ...მფd3 2. მფa3! 1. ...მფd5 2. მფa5! 1. ...მფ:f3 2. მფc3! 1. ...მფ:f5 2. მფc5! ლამაზი ნაწარმოებია!

ამოსახსნელად გთავაზობთ მიბაძვის თემაზე შედგენილ ამოცანას.

**ფ. ზაკმანი, 1913**



**შამათი 6 სვლაში**

ველით თქვენს პასუხებს.

## ნაითი იუგოსლავიაში

ცნობილი ამერიკელი კალათბურთის მწვრთნელი ბობი ნაითი, როგლის ხელმძღვანელობით 1984 წელს აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრები ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა, სემინარების ჩასატარებლად ეწვია იუგოსლავიას. ადგილობრივ მწვრთნელებთან ნაითის გამოსვლები, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, „კალათბურთის ჭეშმარიტ აკადემია იყო“. მან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ აზრთა ასეთი საქმიანი გაზიარება ფრიად სასარგებლოა, აღიარეს სემინარის მსმენელებმა.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

**2 სექტემბერი ⊙ ფეხბურთი ⊙ სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო“ (თბილისი) — ცსკა (მოსკოვი)**

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 30, 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს, ხოლო ორგანიზაციებში — 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შუძლიათ № 7 სალაროში.

**საათადარიგო შემადგენლობათა /მატჩი გაიმართება 1 სექტემბერს.**

დასაწყისი 19 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში დუბლშემადგენლობათა თამაში შედგება „ლოკომოტივის“ სტადიონზე იმავე დროს.

## „სპორტპროგნოზი“ 26-ე ტირაჟი (5-6 სექტემბერი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 1. „დინამო“ (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 5.IX | 10 | 70 | 20 |
| 2. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) | 5.IX | 80 | 10 | 10 |
| 3. „დინამო“ (ბათუმი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 5.IX | 70 | 20 | 10 |
| 4. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — ასკ (როსტოვი) | 5.IX | 30 | 60 | 10 |
| 5. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 5.IX | 40 | 50 | 10 |
| 6. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 5.IX | 50 | 30 | 20 |
| **სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი (V ტური)** | | | | |
| 7. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა | 6.IX | 70 | 10 | 20 |
| 8. „ნეფტჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (თბილისი) | 6.IX | 50 | 10 | 40 |
| 9. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მინსკი) | 6.IX | 50 | 20 | 30 |
| 10. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (კიევი) | 6.IX | 50 | 20 | 30 |
| **კანადის თასის გათამაშება ჰოკეიში** | | | | |
| 11. კანადა — სსრკ | 6.IX | 60 | 10 | 30 |
| 12. აშშ — ჩეხოსლოვაკია | 6.IX | 20 | 10 | 70 |
| 13. ფინეთი — შვეიცარია | 6.IX | 40 | 10 | 50 |

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07145